MES 5 22 0001030345

08/09/2022

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 26 აგვისტოს.** სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting : https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**ნანა ყუფუნია** - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე;
**შორენა ჯაფარიძე** - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**ქრისტინა რზგოევა -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
**ნატალია კვაჭანტირაძე** - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**რუსუდან გიგაშვილი** - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
**მარიამ ქუჩულორია -** ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
**ნინო კაკულია -** სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;
**დეა აბულაძე** - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი/საბჭოს წევრი;
**ნინო ველთაური -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარები სეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)**

**წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნია გუგუნავა -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**
გიორგი სოსიაშვილი - რექტორი;
დავით ჩოჩიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
სერგო სვანაძე - აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;
ნანა შარაბიძე - აწსუ პროფესიული განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
ნინო დოლიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ხელმძღვანელი;
იზა ოჩხიკიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ ხელმძღვანელი;

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:**

ელენე კაკაბაძე,
ნანა მონიავა,
მანანა მოისწრაფიშვილი,
ხათუნა წერეთელი,
გიორგი ნაჭყეპია,
ირმა წამალაძე,
ელენე ფიცხელაური,
ხათუნა მაისაია,
გიორგი ევგენიძე,
ინგა ბაქრაძე,
ქეთევან ჯანელიძე,
ინგა ბოჭოიძე,
ქეთევან ანთაძე,
თამარ ახალაძე,
ხათუნა ფარეიშვილი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი

საბჭოს თავმჯდომარე, ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
რადგანაც სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი, საბჭოს თავმჯდომარემ მდივნობა დააკისრა, ქრისტინა რზგოევას, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება" და "ბაღის დიზაინი" - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. რაზეც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ ჰქონდათ, მხოლოდ დამაზუსტებელი კომენტარი გააკეთა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან (შემდგომში - უნივერსიტეტი) დაკავშირებით. მისი განცხადებით, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/უნივერსიტეტის სტატუსი. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2022 წლის 1 სექტემბერი.

**1. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ელენე კაკაბაძეს და წარმატებები უსურვა.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. არც შესაბამისობის რეკომენდაციები გაცემულა, მხოლოდ რამდენიმე პროგრამაზე გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები. ამის შემდეგ ისაუბრა ვიზიტის საერთო მიმოხილვაზე. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31- ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში 2022 წლის 20-23 ივნისს, 4 დღის განმავლობაში ხორციელდებოდა. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შემოსული დოკუმენტაცია, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციები და დოკუმენტები. ვიზიტის პერიოდში ჯგუფმა შეადგინა დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ცენტრის უშუალო ჩართულობით დაწესებულებამ კიდევ დამატებით წარმოადგინა ვიზიტის პროცესში, როგორც მატერიალურად, ასევე, ელექტრონული ვერსიებიც. ვიზიტი მიმდინარეობდა გეგმის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი, ყოველი დღის ბოლოს დარგის ექსპერტებთან, რომელთა ვიზიტებიც ერთდღიანი იყო, აჯამებდა ძირითად მიგნებებს. ხოლო ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯერა სტანდარტების შეფასებების შედეგები და ძირითადი მიგნებები, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარა. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის განმარტებით - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ დაირღვევა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. უნივერსიტეტი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ორ სასწავლო კორპუსში (IV და V კორპუსი, მის.: აღმაშენებლის N124 და ბესიკის N2), რომლებიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის გამოიყენება. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ. მისი განცხადებით, სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2021 წელს ავტორიზაციის სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით და ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაიცა ორი შესაბამისობის რეკომენდაცია:

1. დაწესებულებას არ ჰყავდა კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისი სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მიეცა ორთვიანი ვადა (მე-5 სტანდარტის 5.1.1.5 კომპონენტი).

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - „საფინანსო სერვისები“ გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების სასწავლო/საწარმო პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და მიეცათ ერთთვიანი ვადა (მე-2 სტანდარტის 2.2.1.1კომპონენტი).

დაწესებულებამ გაუმჯობესების გეგმით განსაზღვრულ ვადებში შეასრულა ორივე რეკომენდაცია და ასევე, გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციებიც.

ამის შემდეგ ექსპერტმა ნანა მონიავამ ისაუბრა ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და

პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას, რაც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების შემდეგ მიზნებთან: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა; სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შეთავსებადობა. ექსპერტის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარეობს დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ: სასწავლო უნივერსიტეტის ხედვაა ორიენტირებულობა უწყვეტ განვითარებაზე, მათ შორის ევროპულ განათლებასთან ჰარმონიზაციაზე. უნივერსიტეტის საქმიანობა ხელს შეუწყობს წარმატებული სპეციალისტების მომზადებასა და მათ ინტეგრირებას კონკურენტულ შრომით ბაზარზე.

უნივერსიტეტში არსებობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც შესაბამისობაშია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პრიორიტეტებთან და თავსებადია დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან. აღნიშნული გეგმების შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით, რომლის მთავარ ორიენტირს PDCA ციკლზე დაფუძნებული პროცესების გამოყენებით და პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით უნივერსიტეტის უწყვეტი განვითარება წარმოადგენს. მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი დაგეგმვის პროცესი ოთხი ძირითადი მიმართულებებისაგან შედგება: ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი; სტრატეგიული გეგმის შემუშავება/რევიზია; სამოქმედო გეგმების შემუშავება; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული მონიტორინგის ანგარიში წარედგინება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების საბჭოს, რომელიც აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ახორციელებს სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და შეიმუშავებს შესაბამისი დასკვნის პროექტს. სტრატეგიული განვითარების საბჭოს დასკვნა რეაგირების მიზნით წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს. საბჭოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს შესაბამისი პროცესების ინიცირებას.

ამის შემდეგ უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა მისი როლი ვიზიტის მიმდინარეობაში, რომ დაწესებულების შეფასებისა და პროგრამების დამატების პროცესში არ დარღვეულიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები. მან მიულოცა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭება და წარმატებები უსურვა. მისი განცხადებით, უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების შემოწმების მიმართულებას წარმოადგენდა მატერიალური და ადამიანური რესურსი. მისი თქმით, ორ სასწავლო კორპუსში ხორციელდება პროფესიული პროგრამები, სადაც არ ხორციელდება აკადემიური პროგრამები და შესაბამისად მატერიალურ რესურსთან მიმართებაში არ იყო გადაფარვები, თუმცა პროფესიული სტუდენტები სარგებლობდნენ ყველა საუნივერსიტეტო სერვისით და შესაბამისი სივრცეებით, მათ შორის ღონისძიებებთან დაკავშირებით, როგორც აკადემიური სტუდენტები იყვნენ ჩართულები, ისე პროფესიული სტუდენტებიც.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, ექსპერტის განმარტებით, ყველა იმ 12 მოდულური პროგრამის შემთხვევაში, მხოლოდ 3 აკადემიური პერსონალი, იყო ჩართული პროფესიულ ისაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, ექსპერტთა ჯგუფმა დაწვრილებით შეისწავლა სამივე მათგანის დატვირთვები და თავსებადი იყო აღნიშნული დატვირთვები

შრომის კოდექსთან. ექსპერტის განცხადებით, პროფესიული პროგრამების განხორციელებას, უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ გამოიკვეთება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევის რაიმე მიმართულება.

**მესამე სტანდარტის** შეფასება წარადგინა ელენე კაკაბაძემ, მისი ინფორმაციით, ექსპერტთა შეფასებით სასწავლო უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. სტუდენტის უფლებები და კანონმდებლობით განსაზღვრული გარანტიები ასახულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით). დაწესებულებაში არსებობს პროფესიული სტუდენტისათვის მათი კანონიერი უფლებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები, მათ შორის შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისი პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერი საკითხის შესახებ. პროფესიულ სტუდენტს კონსულტირების მიღების შესაძლებლობა აქვს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, სასწავლო პროცესის მენეჯერისგან. დაწესებულება ახდენს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სწავლის შედეგების დადასტურება, განმეორებითი შეფასების თარიღები, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებისა და დასრულების, პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე დაწესებულებისგან მუდმივად იღებს მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად.
დაწესებულების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი კონსულტაციებს უწევს პროფესიულ სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე; უზრუნველყოფს დამსაქმებლებთან ურთიერთობის კოორდინირებას. დახმარებას უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაოს მოძიებისა და დასაქმების საკითხებში; მოიძიებს დამსაქმებელ ორგანიზაციებს და მართავს მოლაპარაკებებს. პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში შექმნილია დამსაქმებელთა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. ბაზების შექმნაზე და მის მიწოდებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი. პროფესიული ცენტრის სტუდენტები და კურსდამთავრებულები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ დასაქმების ფორუმებსა და სტუდენტურ დღეებში ჩართულობას. დაწესებულება სისტემატურად აწყობს შეხვედრებს, ღია კარის დღეებს, ახდენენ პროფესიული სტუდენტების კონსულტირებას.

**მეოთხე სტანდარტის** შეფასება წარადგინა ელენე კაკაბაძემ. მისი ინფორმაციით, პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით ცალკე სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს - პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საკანონმდებლო აქტების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, უნივერსიტეტის წესდების, დებულებისა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც კოორდინირებას უწევს ცენტრის ადმინისტრაციულ და პროგრამების განმახორციელებელ პერსონალს.

პროფესიული განათლების ცენტრის დებულება დამტკიცებულია გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 13.06.2022 წლის N 7 – 10 გადაწყვეტილებით. დებულებით განსაზღვრულია ცენტრის მიზნები, ამოცანები, უფლებამოსილება, ვალდებულებები და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. სტრუქტურული ერთეულების და მასში შემავალი პოზიციების ფუნქციები განსაზღვრულია და გაწერილია დებულებით.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №6-06,30.01.2019წ), ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 24 ნოემბრის №6-68 დადგენილებით და ითვალისწინებს პერსონალის ჩართულობას და მონაწილეობას ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში. დაწესებულების მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის განახლება, სასწავლო რესურსების შემუშავება, პროფესიული განვითარების მიზნით სასწავლო ვიზიტების დაგეგმვა, თანამშრომელთა მოტივაციის და წახალისების სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს კითხვარები, რომლის შესაბამისად ხორციელდება პერსონალის საქმიანობის შეფასება და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევა. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად. შეფასების შედეგების საფუძველზე დგება გეგმა გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე ასევე ხორციელდება პერსონალის სამსახურებრივი დაწინაურება. დაწესბულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ასევე გაირკვა, რომ აღნიშნული კვლევების შედეგად მათ ჩაუტარდათ ტრენინგ-კურსები. ექსპერტების მხრიდან კი გადამოწმდა აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**მეხუთე სტანდარტის** შეფასებასთან დაკავშირებით ელენე კაკაბაძემ აღნიშნა, რომ განაცხადზე თანდართული დოკუმენტაციის შეფასებით და ადგილზე დათვალიერები დასტურდება, რომ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით ავტორიზაციის ვადით. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების რეგულაცია და განხორციელდა ინტერვიუები პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია მათთვის. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დგინდება, რომ დაწესებულების ორივე მისამართზე მდებარე შენობებში, სადაც ხორციელდება პროფესიული პროგრამები, ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.
დაწესებულებას ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და წარმოადგინეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (N 138, 21 ივნისი 2022წ.), რომლითაც განსაზღვრული იყო საევაკუაციო გეგმების შედგენა/დამზადება დაწესებულების შემდეგ მისამართებზე: ქ.გორი, ბესიკის ქ.N2, აღმაშენებლის ქ.N124 და რძის საწარმოს შენობაში - ჭონქაძის ქ. N 3. ხელშეკრულებით მიღება-ჩაბარების ვადად განსაზღვრული იყო არაუმეტეს 10 სამუშაო დღე. სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია. დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შედგენილი დასკვნის პროექტის გაცნობის საფუძველზე შეიმუშავა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში ასახულ შესაბამისობის

რეკომენდაციასთან დაკავშირებით და დანართის სახით წარმოადგინა: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (N 138, 21 ივნისი 2022წ.), მიღება-ჩაბარების აქტი N 138/01 (11 ივლისი 2022), დამზადებული საევაკუაციო გეგმები და ფოტოები. ავტორიზაციის ექსპერტებმა გაითვალისწინეს აღნიშნული დოკუმენტები. და ჩათვალეს, რომ კომპონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

ექსპერტთა მიერ მოხდა IT ინფრასტრუქტურის ფიზიკური დათვალიერება, ასევე კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმება და დასტურდება რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ინტერნეტ-რესურსი .დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. პასუხისმგებელ პირებთან ჩატარდა გასაუბრება და დასტურდება, რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის მონიტორინგსა და მონიტორინგის საფუძველზე პროფილაქტიკას. ექსპერტთა მიერ მოხდა რეესტრის გადამოწმება და რეესტრის წარმოების მენეჯერთან გასაუბრება, რითიც დასტურდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის წესდებასთან. დაწესებულების ბიუჯეტი გაწერილია 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. 2019 წლის 1 ივლისიდან უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების ცენტრი და ცალკე გამოიყო პროფესიული პროგრამების ბიუჯეტი. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რომელიც დაგეგმილი აქტივობების ადექვატურია. დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამული და ვაუჩერული დაფინანსებით. კომპონენტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც მოიცავს როგორც სახელფასო ანაზღაურების, კომუნალური, გადასახადების, ისე მომსახურებისა და შესყიდვების და სხვა საჭირო ხარჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმებული იქნა კოლეჯის ფინანსური დოკუმენტაცია, სამეურნეო და ინვენტარის შესყიდვების, კომუნალური გადასახადების გადარიცხვების, სახელფასო ანაზღაურების, სხვადასხვა მომსახურების შესყიდვების და სხვა საოპერაციო ხარჯების შესახებ და დადგინდა, რომ კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, რაც დადასტურდა სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებითა და მათი ფინანსური ანგარიშების შესწავლით. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს საკუთარ ვებგვერდზე განთავსებული აქვს დაწესებულების ფინანსური ანგარიშები წლების მიხედვით, რომლებსაც ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ ვიზიტის ფარგლებში და დეტალები დააზუსტეს დაწესებულების მატერიალურ მენეჯერთან და შესყიდვების მენეჯერთან ინტერვიუთი. დაწესებულება საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავს შემდეგი წლის აქტივობების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემუშავებას და ყოველი წლის ივლისში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის პროექტს იმ მოცულობით, რომელიც დასტურდება წინა წლების ფინანსური ანალიზით, რის შემდეგაც სამინისტროსთან ერთობლივი მუშაობის შედეგად ყოველი წლის დასაწყისში ხდება მისი დამტკიცება. განხილული იქნა რა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ წინა წლების კოლეჯის დაფინანსების, ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები, შესაბამისად, დადგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

შემდეგ დარგის ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და დადებითად შეაფასეს. ხარვეზი არცერთ პროგრამაში არ დაფიქსირებულა, არ გაცემულა შესაბამისობის რეკომენდაციები, მხოლოდ გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

**რეკომენდაციების შეჯამება, მე-2 სტანდარტთან დაკავშირებული განმავითარებელი რეკომენდაციები პროგრამების მიხედვით:**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** წარადგინა მანანა მოისწრაფიშვილმა.
2.1.1.8. პროგრამის ადმინისტრირებას მეტად გაამარტივებს თუ პრერეკვიზიტი მოდულის შემდეგ დაცული იქნება არა ერთკვირიანი, არამედ ორკვირიანი შუალედი პროფესიული სტუდენტისთვის განმეორებითი შეფასების უზრუნველყოფისთვის. აგრეთვე, დაწესებულებამ სასურველია მოახდინოს შესაბამისი წესების დაცვით პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში ცვლილების ინიცირება, რათა მოდულის ,,პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის“ წინაპირობა, რომელიცაა ,,პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო მოდული“ დაზუსტდეს და მიეთითოს ,,ყველა პროფესიული მოდული“, ვინაიდან არსებული წინაპირობის დაცვა პროფესიული პროგრამის უწყვეტად განხორციელების პირობით შეუძლებელია, და ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ხორციელდება ისეთი ზოგადი სავალდებულო მოდულებიც, რომელიც არ არის აღნიშნული მოდულის ლოგიკური წინაპირობა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“**, წარადგინა ხათუნა მაისაიამ.
2.2.1.1. სასურველია პრაქტიკის განმახორციელებელ კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს დანართის სახით ახლდეს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ პრაქტიკის კომპონენტისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის ნუსხა.

**პროფესიული პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“**, წარადგინა გიორგი ევგენიძემ,
2.2.1.1. სასურველია, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში საავიაციო ტვირთების საწყობში მიღებისა და გაგზავნასთან დაკავშირებული სპეციფიკის შესწავლა განხორციელდეს შესაბამის ორგანიზაციაში;
2.2.1.2. სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის ზრდა.
2.2.1.7. სასურველია მოხდეს ბიუჯეტის რეკალკულაცია და რენტაბელობის ზღვრის იმგვარად დადგენა, რომ თუნდაც 2 სტუდენტის (20%) სტატუსის შეჩერების შემთხვევაში პროგრამის განხორციელებას არ შეექმნას საფრთხე.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“**, წარადგინა ქეთევან ჯანელიძემ,
2.1.1.4. დაწესებულებამ სისტემატიურად უნდა მოახდინოს მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ყველა ინტერნეტ-მისამართის/ბმულის შემოწმება და განახლება.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“**, წარადგინა ელენე ფიცხელაურმა,
2.2.1.1. გადაიხედოს მატერიალური რესურსების დანართი და გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

2.2.1.2. სასურველი იენება თუ მოხდება რძე და რძის პროდუქტების პროფესიული მოდულის განმახორციელებლის დამატება, რათა პროგრამის ხელმძღვანელს ჰყავდეს შემცვლელი საჭიროების შემთხვევაში.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“**, წარადგინა ინგა ბაქრაძემ,
2.2.1.5. მოდულებში მოხდეს ლიტერატურის გადახედვა და ტექნიკური ხარვეზების გასწორება.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბიბლიოთეკო საქმე“**, წარადგინა ირმა წამალაძემ,
2.2.1.3. სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლები ინტენსიურად გადიოდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, ესწრებოდნენ ბიბლიოთეკის სპეციალისტთა გადამზადების ტრენინგებს.
2.2.1.5. განხორციელდეს გორის პროფესიული განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსის სრულყოფილად დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად; პერიოდულად რაოდენობრივი მაჩვენებლის ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს ბიბლიოთეკას დააზუსტოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, გააკეთოს შედარებითი ანალიზი და დასახოს სტრატეგიული განვითარების გეგმა; ყველა სახის საბიბლიოთეკო პროცესი და ოპერაცია აისახოს დოკუმენტაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, როგორ ხდებოდა პროფესიული პროგრამების დამტკიცება, აკადემიურ საბჭოზე გადიოდა საკითხი, თუ იყო რაიმე გამარტივებული პროცედურები.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წინა ავტორიზაციის პროცესშიც იყო აღნიშნულთან დაკავშირებით კითხვები. მისი თქმით, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა აკადემიური საბჭოს მიერ იქნას დამტკიცებული, მოთხოვნა ძალაშია კანონმდებლობით და შესაბამისად ვრცელდება აღნიშნული მიდგომა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზეც, თუმცა მექანიზმები არის განსხვავებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორის, გიორგი სოსიაშვილის განცხადებით, აკადემიური საბჭოს მხრიდან სრული ხელშეწყობა და მხარდაჭერა აქვს უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და პროფესიული პროგრამების განვითარებას. ამის შემდეგ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის, საბჭოს წევრებსა და ცენტრს.
ნანი დალაქიშვილმა მიმართა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, რომ თუ საბჭო დადებით გადაწყვეტილებას მიიღებდა, ამ შემთხვევაშიც, უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად განსაზღვრულიყო 1 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი.

**კენჭისრის შედეგები:**

**მომხრე**: **9**
**წინააღმდეგი**: **0**

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების, მე-60-ე და 61-ე მუხლების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ:218076542) ავტორიზაციის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 1 სექტემბერი.

ნანა ყუფუნიამ დატოვა საბჭოს სხდომა. მისი თხოვნით, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, შორენა ჯაფარიძე.
მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა.

**2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,სამკერვალო წარმოება" და ,,ბაღის დიზაინი" - მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.**

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ქეთევან ანთაძეს და წარმატებები უსურვა.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების

საფუძველზე სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების „ბაღის დიზაინი“ და ‘’სამკერვალო წარმოება’’, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტის "ბ.ბ" კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, 2022 წლის 14 ივლისს განხორციელდა ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე. ვიზიტის ფარგლებში, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები, შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტების განხილვა, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელთან გასაუბრება და საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური და სასწავლო რესურსის დათვალიერება. ექსპერტთა მიერ განხილული დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

წინა წარმოების ფარგლებში, აღნიშნული პროგრამების 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილ შესაბამისად“, გამომდინარე იქედან, რომ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად არ იყო უზრუნველყოფილი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ხოლო ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, დადგინდა, რომ აღნიშნული პრობლემა სრულად იყო აღმოფხვრილი და კომპონენტი 2.2 შეფასდა, როგორც „სრულად შესაბამისი“, გამომდინარე აქედან, ორივე პროგრამასთან მიმართებით, სტანდარტი არის სრულად შესაბამისი.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის ფარგლებში, უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრისთვის გამოყოფილ შენობას, არ ჰქონდა უკაბელო ინტერნეტი და დაწესებულებაში შესაძლებელი იყო მხოლოდ კაბელიანი ინტერნეტით სარგებლობა. როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან და ადმინისტრაციასთან საუბრისას გაირკვა, აღნიშნული პრობლემა დაახლოებით ერთი თვეა რაც არსებობს, გამომდინარე იქედან, რომ მიმდინარეობს შენობის მოწყობის პროცესი და ასევე დაწყებულია ამ საკითხის მოგვარებაც. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა, 2022 წლის 27 ივნისის, პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი, როუტერების შეძენის შესახებ და აღნიშნა, რომ უახლოეს ვადებში ეს პრობლემა აღმოფხვრილი იქნება.

გარდა ამისა, ექსპერტთა მხრიდან, პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის ‘’სამკერვალო წარმოება’’ ფარგლებში, დაწესებულებას წინა ვიზიტის ფარგლებში, მიცემული ჰქონდა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტებთან დაკავშირებით, პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის კუთხით, გარდა ერთი ობიექტისა, დამატებით გაეფორმებინა ხელშეკრულება სხვა პრაქტიკის ობიექტთანაც, რაც დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებულ იქნა. ასევე, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ მემორანდუმებში დაკონკრეტებულიყო პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, თუ რამდენი სტუდენტის მიღებას შეძლებდნენ ობიექტები. თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია, ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული არ იყო. ასევე, დაწესებულებას, პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამის ‘’სამკერვალო წარმოება’’ ფარგლებში, მიცემული ჰქონდა გამავითარებელი სახის რეკომენდაცია უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, რომ პროგრამის სახელოსნოში თვალსაჩინოდ გამოეკრა უსაფრთხოების ნორმები. გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“, მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა“ ერთ-ერთი შედეგი მოიცავს ტიპურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოების ნორმების დაცვას. მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, მატერიალური რესურსისა და სასწავლო გარემოების დათვალიერებისას, ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებაც, რაც დაწესებულებას

გათვალისწინებული აქვს. ამასთანავე, დაწესებულებას, წინა ვიზიტის ფარგლებში, ორივე პროგრამასთან მიმართებით, მიცემული ჰქონდა კიდევ ერთი განმავითარებელი სახის რეკომენდაცია, უზრუნველეყო იმ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის აღჭურვა კომპიუტერებით, სადაც უნდა განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რაც უფრო მოქნილს გახდიდა პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე. აღნიშნული ბიბლიოთეკა მდებარეობს უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის კორპუსში (ქ. ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. №21). ახლანდელი ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია ჯერჯერობით სრულად არ არის გათვალისწინებული, გამომდინარე იქედან რომ ამ ეტაპზე, მიმდინარეობს აღნიშნული ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა.

**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

2.2.1-1 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ''სამკერვალო წარმოება'' მოდული ''საწარმოო პრაქტიკა'' განხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების ბაზაზე. დარგის ექსპერტის შეფასებით, პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებს შესაძლებლობა აქვთ უზრუნველყონ პროფესიული სტუდენტების მიღება პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, თუმცა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში არ არის დაკონკრეტებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მემორანდუმების თანახმად, მხარეებს შორის, თითოეული ჩარიცხვისას, სტუდენტთა ნაკადის მიხედვით, ფორმდება დამატებითი ხელშეკრულება მოდულის ''საწარმოო პრაქტიკის'' გავლის შესახებ, რომელშიც განისაზღვრება პრაქტიკის გავლის ვადები, პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა და სხვა დამატებითი საკითხები. ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა მიერ, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი სახის რეკომენდაცია: პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში წინასწარ დაკონკრეტდეს პროფესიულ სტუდენტთა ის რაოდენობა, რაზეც პრაქტიკის ობიექტები გამოთქვამენ მზაობას, რომ საჭიროებისამებრ შეძლებენ მათ უზრუნველყოფას.

დარგის ექსპერტების თამარ ახალაძისა და ხათუნა ფარეიშვილის განცხადებით, პროგრამებისთვის **"სამკერვალო წარმოება" და "ბაღის დიზაინი"** განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ექსპერტთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დათვალიერების, სასწავლო რესურსების გაცნობისა და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ სასწავლო რესურსი, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სასწავლო რესურსებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის, ასევე ხარისხის ცენტრს თანადგომისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "სამკერვალო წარმოება" და "ბაღის დიზაინი" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

**მომხრე : 7**
**წინააღმდეგი: 0**

**გადაწყვეტილება:**
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:212693049) „სამკერვალო წარმოება" და "ბაღის დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

**დანართი**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0731 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 50 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საოფისე საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0415 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 20 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 89 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელი და სისტემები |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | რძის პროდუქტების წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0721 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 85 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საბიბლიოთეკო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0322 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 30 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 94 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 124 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო განათლება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 75 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. №124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 50 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ღონისძიების ორგანიზება |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, ბესიკის ქ. №2 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 61 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 91 |